სახელმწიფო ქონების
სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №61

ქ.თბილისი რუსთაველის გამზირი 2 **12 ოქტომბერი 2015 წელი**

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ "ალ. გრიბოედოვის სახელობის რუსული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი" (ს/კ 203827573) უფლებამოსილი წარმომადგენელი თეატრის დირექტორი ნიკოლოზ სვენტიცკი (შემდეგ ქონების გამცემი და/ან თეატრი) და მეორეს მხრივ ს.ს.ი.პ "თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატური თეატრის" (ს/კ 206047286) უფლებამოსილი წარმომადგენელი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი არმენაკ ბაიანდურიანი (შემდეგ ქონებით მოსარგებლე და/ან მოსარგებლე) „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს 2014 წლის 30 მაისის №04/13-2771 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ნებართვა) და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა საფუძველზე შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ქონების გამცემი მოსარგებლეს დროებით სარგებლობაში - ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ დღეებში და დროს გადაცემს მის სარგებლობაში არსებულ ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო სახელმწიფო ქონებას - უძრავ ნივთს და ამ უძრავ ნივთთან დაკავშირებულ მოძრავ ნივთებს, კერძოდ: ქ.თბილისში რუსთაველის გამზირი №2-ში მდებარე თეატრის მცირე დარბაზს და ამ დარბაზში არსებულ ტექნიკას და აპარატურას (შემდეგ ქონება), ხოლო მოსარგებლე მოვალეა დათქმულ ვადებში გადაუხადოს ქონებით სარგებლობის საფასური (შემდეგ ქირა ან/და საფასური) და უფლება აქვს მხოლოდ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად ისარგებლოს ქონებით.

1.2 მოსარგებლე უფლებამოსილია ისარგებლოს თეატრის ქონებით, მხოლოდ ამ პუნქტით განსაზღვრულ დღეებში, თეატრის მიერ დაგეგმილი სხვა ღონისძიებებიდან თავისუფალ დროს (საათებში), რომელსაც განსაზღვრავს ქონების გამცემი, კერძოდ: სარგებლობის პერიოდია – 2015 წლის 15 ოქტომბერს.

1.3 ქონებით მოსარგებლე ვალდებულია თვითონ უზრუნველყოს ტექნიკური პერსონალის მომსახურება და იგი პასუხისმგებელია თეატრის ქონების უსაფრთხოებაზე და მის დაზიანებაზე, ასევე მოსარგებლე ვალდებულია სარგებლობის ყოველი კონკრეტული დღის ვადის გასვლის შემდეგ ქონება დააბრუნოს იმავე მდგომარეობაში, როგორც იყო სარგებლობის დაწყების მომენტამდე.

1.4 აკრძალულია სახელმწიფო ქონების სარგებლობაში მიმღების მიერ სარგებლობაში გადაცემული სახელმწიფო ქონების იპოთეკით დატვირთვა, დაგირავება, სერვიტუტით დატვირთვა, უძრავ ქონებაზე სხვაგვარი განკარგვითი გარიგების დადება.

მუხლი 2. მოსარგებლის უფლებები და ვალდებულებები

2.1 მოსარგებლე უფლებამოსილია პირველი მუხლით განსაზღვრული პირობების შესაბამისად თავისუფლად ისარგებლოს ქონებით.

2.2 მოსარგებლეს უფლება აქვს ქონების გამცემის წერილობითი თანხმობით მოახდინოს სასარგებლო ფართში სარემონტო სამუშაოები და ან რაიმე არსებულის ცვლილება;

2.3 მოსარგებლე ვალდებულია ისარგებლოს ქონებით მხოლოდ ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

2.4 მოსარგებლე ვალდებულია ქონების სარგებლობის პერიოდში ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში გადაიხადოს სარგებლობის საფასური და ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით უზრუნველყოს ქონების შესაბამისი მოვლა-პატრონობა;

2.5 მოსარგებლე ვალდებულია დაიცვას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დადგენილი სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები;

2.6 მოსარგებლე ვალდებულია ქონების გამცემს აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც გამოწვეულია მოსარგებლის ქმედებით ან უმოქმედობით;

2.7 მოსარგებლე ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტისას ქონების გამცემს დაუბრუნოს ქონება იმ მდგომარეობაში, რომელშიც მისგან მიიღო, ნორმალური ცვეთის გათვალიწინებით ან იმ მდგომარეობაში, რაც ხელშეკრულების პიროებებიდან გამომდინარეობს;

მუხლის 3. ქონების გამცემის უფლებები და ვალდებულებები

3.1 ქონების გამცემი უფლებამოსილია მოსარგებლეს მოთხოვოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი მოთხოვნებისა და ამ ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულება;

3.2 ქონების გამცემი უფლებამოსილი ხელშეკრულების პიროებებისა და/ან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მოსარგებლესთან შეწყვიტოს ან/და მოშალოს ხელშეკრულება;

3.3 ქონების გამცემი ვალდებულია ხელშეკრულების პირობების გათვალიწინებით მოსარგებლეს გადაცეს ხელშეკრულებით გათვალიწინებული ქონება განსაზღვრული ვადით;

მუხლი 4. სარგებლობის საფასური (ქირა) და მისი გადახდის წესი

4.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით განსაზღვრული სახელმწიფო ქონებით სარგებლობისათვის საფასური – ქირა შეადგენს 500 ლარს (ხუთასი ლარი) დღგ-ს ჩათვლით.

4.2 მოსარგებლე ვალდებულია სარგებლობის საფასური გადაიხადოს არაუგვინაეს 2015 წლის 1 ნოემბრამდე.